განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი

## ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია

შეფასების თარიღ(ებ)ი:
31 იანვარი,1 და 2 თებერვალი 2023 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი
28.02.2023

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: Maka Tukvadze Digitally signed by Maka Tukvadze Date: 2023.02.28

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია დაწესებულების შესახებ | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება | ა(ა)იპ-საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდული პირი |
| საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | ს/კ: 443569005 |

| ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს: | |
|---|---|
| დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | √ |
| საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | √ |
| საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | √ |
| საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა | |
| საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | დაბა ხარაგაული |
| იურიდიული მისამართი | დაბა ხარაგაული, რომანოზ დეკანოსიძის ქუჩა № 4 |
| ფაქტობრივი მისამართი | დაბა ხარაგაულის , რომანოზ დეკანოსიძის ქუჩა № 4 |
| საფოსტო ინდექსი | 5600 |
| დაწესებულების ვებ-გვერდი | https://aaipxaragaulisgimnazia.ge/ |
| დაწესებულების ელ-ფოსტა | info@ aaipxaragaulisgimnazia.ge |
| დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი | +995 557 70 70 03 |
| ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი) | მელქისედეკ (ხაჩიძე); მარგვეთისა და უბისის ეპარქიის ეპისკოპოსი |
| ტელეფონის ნომერი/ფაქსი | 5 99 26 25 27 |
| ელ-ფოსტა | Melkhisedek75@yahoo.com |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი | სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი ბრძანება MES 5 23 0000006234; 09/01/2023 |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 31.01.2023--02.02.2023 |
| ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი) | მაკა ტუკვაძე |
| წევრი (სახელი, გვარი) | თეა გაბელაია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

## IV. ვიზიტის შეჯამება

### ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

| სტანდარტი/ქვესტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| **1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** | | **მუხლი 6** | ☒ | ☐ |
| 1.1 | სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | **მუხლი 6/ პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 1.2 | სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და | **მუხლი 6/ პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | | | |
| 1.3 | სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | **მუხლი 6/ პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |
| 1.4 | სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | **მუხლი 6 / პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |
| 1.5 | შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი | **მუხლი 6/ პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით | | | |
| 1.6 | შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | **მუხლი 6 / პუნქტი ვ)** | ☒ | ☐ |
| **2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | **მუხლი 7** | ☒ | ☐ |
| 2.1 | დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | **მუხლი 7 / პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს | **მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | კანონმდებლობით დადგენილი წესით | | | |
| 2.1.2 | საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | **მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)** | ☒ | ☐ |
| 2.1.3 | სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | **მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)** | ☒ | ☐ |
| 2.1.4 | სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | **მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)** | ☒ | ☐ |
| 2.2. | სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | **მუხლი 7 / პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |
| 2.3 | სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | **მუხლი 7 / პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.4 | სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | **მუხლი 7 / პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |
| 2.5 | სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | **მუხლი 7 / პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |
| 2.6 | სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | **მუხლი 7 / პუნქტი ვ)** | ☒ | ☐ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)** | ☒ | ☐ |
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)** | ☒ | ☐ |
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)** | ☒ | ☐ |
| 2.6.5 | კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | | | |
| 2.7 | სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | მუხლი 7/ პუნქტი ზ) | ☒ | ☐ |
| 2.8 | შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | მუხლი 7/ პუნქტი თ) | ☒ | ☐ |
| 2.9 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა | მუხლი 7/ პუნქტი ი) | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **3.** | **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი** | **მუხლი 8** | ☒ | ☐ |
| 3.1 | სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | **მუხლი 8 / პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 3.2 | სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | **მუხლი 8 / პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |
| 3.3 | სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | **მუხლი 8 / პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |
| 3.4 | მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | **მუხლი 8/ პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |
| 3.5 | სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის | **მუხლი 8/ პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა   --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | | | |
| 3.6 | სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | **მუხლი 8/ პუნქტი ვ)** | ☒ | ☐ |

**V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება**

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.*

| ***სტანდარტი*** | ***საგანმანათლებლო პროგრამები*** | ***ხარვეზი*** |
|---|---|---|
| ***ქვესტანდარტი*** | *1.1.* | |
| | *1.2.* | |
| ***სტანდარტი*** | *მატერიალური რესურსი* | |
| ***ქვესტანდარტი*** | *2.2.ბ* | |
| ***სტანდარტი*** | *ადამიანური რესურსი* | |
| ***ქვესტანდარტი*** | *3.1.* | |

**VI. რეკომენდაციების შეჯამება**

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| სტანდარტი | საგანმანათლებლო პროგრამები | რეკომენდაცია |
|---|---|---|
| ქვესტანდარტი | 1.4. | |
| სტანდარტი | მატერიალური რესურსი | |
| ქვესტანდარტი | 2.3 | |
| სტანდარტი | ადამიანური რესურსი | |
| ქვესტანდარტი | 3.1. | |

## VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| | |
|---|---|
| საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი | |

| | |
|---|---|
| დაწესებულების მისია | ზოგადი განათლების სამივე - დაწყებითი, საბაზო, საშუალო სფეხურებზე ხარისხიანი, სრულფასოვანი, აკადემიური განათლების მიცემა, ზნეობრივად ჯანსაღი თაობის აღზრდა, მოზარდის შესაძლებლობების გამოვლენა-განვითარებაში ხელშეწყობა, სწავლა-სწავლების ეფექტური, მშვიდი, ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნა, სწავლისათვის საჭირო პოზიტიური დამოკიდებულების, სამყაროს შემეცნების მიმართ ინტერესის ჩამოყალიბება და იმ უნარ-ჩვევების გამომუშავებაში ხელშეწყობა, რომლებიც მნიშვნელოვანია მისი მუდმივი განათლების, მომავალი გზის სწორად არჩევისა და შრომის ბაზარზე არჩევანის გაკეთებისათვის; ტოლერანტი, ქვეყნის საკუთარი და სხვისი ინტერესების დამცველი მოქალაქის აღზრდა. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

**VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| | |
|---|---|
| წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა | |

**IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება**

<table>
<tr><td rowspan="2">მოსწავლეთა რაოდენობა:<br>265</td><td>ექსპერტი ეთანხმება<br>☒</td><td>აღწერა<br>(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)</td></tr>
<tr><td>ექსპერტი არ ეთანხმება<br>☐</td><td></td></tr>
</table>



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

## X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

### საგანმანათლებლო პროგრამები

| 1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიამ (შემდგომში გიმნაზია), ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინა საავტორიზაციო განაცხადი თანდართული დოკუმენტაციით, მათ შორის გიმნაზიის რექტორის ბრძანებით (ბრ.№03/2; 19/10/2022) დამტკიცებული 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.<br>კონკურსის წესით შერჩეულმა მასწავლებლებმა (24.01.2023) პედსაბჭოს სხდომაზე განიხილეს გიმნაზიის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც პედაგოგთა მიგნებების გათვალისწინებით, განხორციელდა გარკვეული ცვლილებები (ბრ.N04/2; 24.01.2023). აღნიშნული სასკოლო სასწავლო გეგმა ადგილზე ვიზიტის დროს შევისწავლეთ ექსპერტებმა.<br>2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო გეგმის ნაწილებია:<br>• შესავალი<br>• გიმნაზიის მისია , ხედვა, მიზნები<br>• სასკოლო სასწავლო გეგმაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • სწავლა-სწავლების მიზნები და საგანამანათლებლო პრინციპები<br>• გიმნაზიის საერთო  კულტურა<br>• 2022-2023 სასწავლო წლის კალენდარი<br>• დღის რეჟიმი<br>• სასკოლო საათობრივი ბადე  და შემაჯამებელი დავალების რაოდენობა<br>• ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებელი/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა<br>• მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები (რომელიც განსაზღვრავს ვადებსა და პირობებს გაცდენილი შემაჯამებლი დავალებების აღდგენისთვის, საშემოდგომო გამოცდების ჩატარებისთვის და სხვა)<br>• საგანამანათლებლო  რესურსების  ჩამონათვალი<br>• შინსწავლა<br>• ინკლუზიური  განათლება<br>• საგნობრივი  კათედრები<br>• სადამრიგებლო  პროგრამა<br>• შეფასების სქემები და რუბრიკები<br>სასკოლო გეგმის მიხედვით, გიმნაზიაში საგანმანათლებლო პროცესი განხორციელდება ქართულ ენაზე, დაწყებით (I-VI კლასები), საბაზო (VII-IX კლასები), საშუალო (X-XII კლასები) საფეხურებზე.<br>**სასწავლო წლის კალენდარი** - სასწავლო წლის დაწყება-დასრულება, არდადეგების რაოდენობა და  ხანგრძლივობა თანხვედრაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან<br>გაკვეთილების ხანგრძლივობა:<br>I კლასში - 35 წუთი; შესვენება 10 წუთი, მე-3 გაკვეთილის შემდეგ დიდი დასვენება 15 წუთი. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა   --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | II -XII კლასებში -45 წუთი; შესვენება 5 წუთი, მე-3 გაკვეთილის შემდეგ დიდი შესვენება 15 წუთი.<br>**საათობრივ ბადე-**გიმნაზიას შემუშავებული აქვს ესგ-ს 56-ე მუხლით განსაზღვრული საათობრივი ბადის პირველ მოდელი, რომელიც მიჰყვება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ კვირეულ საათობრივ დატვირთვას. საათობრივ ბადეში წარმოდგენილია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო საგანი (ჭადრაკის გარდა) და არჩევითი საგნები. გათვალისწინებულია პროექტული სწავლების საათობრივი დატვირთვა 1სთ სამოქალაქო განათლებაში და 1სთ სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში. გიმნაზიას ჭადრაკის სწავლება განსაზღვრული აქვს მომავალი წლიდან, შესაბამისი კადრის მომზადების შემდეგ.<br>არჩევითი საგნებად განსაზღვრულია:<br>✓ მსოფლიო კულტურა-10 კლასი,<br>✓ შესავალი თანამედროვე ფიზიკაში -11კლასი<br>✓ ხალხური საკრავები და ფოლკლორი-12 კლასი<br>დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება შეთავაზებულია ფაკულტატური სახით, საღვთო სჯულსა (I-XI კლასი) და ქიმიაში (VII კლასი), ასევე განსაზღვრულია მუსიკა/გალობის წრე (უფასო)<br>I–IVკლასის მოსწავლეებისთვის გიმნაზია ქმნის გახანგრძლივებული სწავლების ჯგუფებს.<br>**მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა** - განსაზღვრავს შეფასების მიზანს და ამოცანებს, შეფასების ტიპებს, მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასებას დონეების მიხედვით, განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობებს, ქულების გამოანგარიშებისა და გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენის წესებსა და პირობებს, კლასისა და საფეხურის დაძლევას, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | გამოცდების ტიპებს და ჩატარების წესებს, გაცდენებს, მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღიარებას.<br>**საგანამანათლებლო რესურსები-**განსაზღვრავს სასწავლო წლის განმავლობაში გამოსაყენებელ ძირთად და დამხმარე სასწავლო რესურსის ჩამონათვალს კლასების, საფეხურების და საგნების მიხედვით.<br>**ინკლუზიური განათლება-** გულისხმობს თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო გარემოს შექმნას, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია ყველა მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროება. სასკოლო სასწავლო გეგმით წარმოდგენილია სსსმ მოსწავლისათვის შესადგენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში.<br>**საგნობრივი კათედრები-**გიმნაზიაში შექმნილია შვიდი საგნობრივი კათედრა, რომლებიც აერთიანებენ საგნობრივ ჯგუფებში შემავალ ყველა მასწავლებელს. გაწერილია კათედრისა და კათედრის თავმჯდომარის ფუნქციები.<br>**სადამრიგებლო პროგრამის ზოგადი პრინციპები-** განსაზღვრავს დამრიგებლის მუშაობის მიზნებს, ამოცანებს და ფუნქცია-მოვალეობებს.<br>**შეფასების სქემები და რუბრიკები-**წარმოდგენილია სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი სხვადასხვა ტიპის დავალებების შეფასების ზოგადი სქემები.<br>გიმნაზიის მიერ შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ სასკოლო გეგმა გამომდინარეობს გიმნაზიის მისიიდან და უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სტანდარტების დაძლევას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • 2022-2023 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმა<br>• გიმნაზიის დირექციასთან გასაუბრება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • პედაგოგიური საბჭოს ოქმი№1; 24/01/2023<br>• გიმნაზიის რექტორის ბრძანება N04/2 ; 24/01/2023.<br>• სკოლის ვებგვერდი |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | გიმნაზია იზიარებს ეროვნული სასწავლო გეგმის სწავლა-სწავლების მიზნებს და ორიენტირებულია მოსწავლეებს განუვითაროს ესგ-ით განსაზღვრული გამჭოლი უნარები და კომპეტენციები.<br>გიმნაზიაში შექმნილი საგნობრივი კათედრები, შემუშავებული სადამრიგებლო პროგრამა, დაგეგმილი კლასგარეშე ღონისძიებები და დამტებითი საგანმანათლებლო მომსახურება უზრუნველყოფს დააკმაყოფილოს გიმნაზიის სამივე საფეხურის მოსწავლეთა ინტერესები.<br>გიმნაზიაში შეიქმნა შვიდი საგნობრივი კათედრა.<br>✓ ქართული ენა და ლიტერატურა<br>✓ მათემატიკა<br>✓ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები<br>✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები<br>✓ უცხოური ენები<br>✓ ესთეტიკური აღზრდა და სპორტი<br>✓ დაწყებითი საფეხურის კათედრა<br>კათედრის პორტფოლიოები მოიცავს: კათედრის დებულებას, სამოქმედო გეგმას, კათედრის სხდომის ოქმს, შეფასების რუბრიკებს, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | კათედრის წევრთა საათობრივ დატვირთვას, შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმებს, საგნობრივ კურიკულუმებს და თემატურ-კალენდარულ გეგმებს.<br>საგნობრივი კურიკულუმებიდან ჩანს, რომ პედაგოგებს გააზრებული აქვთ ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები. საგნობრივი კურიკულუმები განსაზღვრავს წლის მანძილზე შესასწავლ თემებს, თემის ფარგლებში განსახილველ საკითხებს და დაგეგმილ კომპლექსურ დავალებებს შესაბამისი თემატური მატრიცებით. თემატური მატრიცით წარმოდგენილი გრძელვადიანი მიზნები და მისაღწევი შედეგები თანხვედრაშია ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნობრივი სტანდარტის შედეგებთან. კურიკულუმებიდან ჩანს, რომ დაგეგმილი შემაჯამებელი წერების კომპონენტში გათვალისწინებულია კომპლექსური დავალებების განხორციელება. XI-XII კლასებში შემუშავებულია თემატურ-კალენდარული გეგმები, სადაც წარმოდგენილია საგნის სწავლების მეთოდები, სასწავლო რესურსები, საგნის სტატუსი, სწავლების წლიური შედეგები, რომლებიც თანხვედრაშია ესგ-სთან.<br>აღნიშნულიდან ჩანს, რომ სასკოლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა<br>• კათედრის პორტფოლიოები<br>• გასაუბრება სასკოლო საზოგადოებასთან<br>• კლასგარეშე ღონისძიებების მენეჯერის სამოქმედო გეგმა |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| 1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა მოიცავს ინკლუზიური განათლებას, სადაც გაწერილია ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპები, სსსმ მოსწავლის განმარტება, სსსმ მოსწავლის მიღება და გარემოს მოწყობა, სსსმ მოსწავლის აკადემიურ შეფასება, გაცდენები, შინ სწავლება და ისგ-ს ნიმუში. ინკლუზიური განათლების მართვაში ჩართული პირების ვალდებულებები განსაზღვრულია ინკლუზიური განათლების მართვის დებულებით.<br>გიმნაზიის სადამრიგებლო პროგრამა ემყარება სრულფასოვანი აღზრდის, თანამშრომლობის, მოსწავლის შესაძლებლობების გამოვლენისა და პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარების პრინციპებს. დაგეგმილი სასკოლო ღონისძიებები მოსწავლეებს საშუალებას მისცემს ჩაერთონ სხვადასხვა ტიპის აქტივობებში საკუთარი ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. I-IV კლასებისთვის შეთავაზებული გახანგრძლივებული სწავლება ითვალისწინებს მოსწავლეთა მხარდაჭერას აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად.<br>ამრიგად, სასკოლო გეგმით განსაზღვრული პროგრამები უზრუნველყოფს მოსწავლეს, სწავლებისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • 2022-2023 სასკოლო სასწავლო გეგმა<br>• სადამრიგებლო პროგრამა<br>• ინკლუზიური განათლების მართვის დებულება(03/2;18/10/22<br>• კლასგარეშე ღონისძიებეის მენეჯერის სამოქმედო გეგმა-<br>• გასაუბრება სასკოლო საზოგადოებასთან |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა (წესები).<br>მოსწავლეთა შეფასების მიზანია სწავლება-სწავლის ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას, ხოლო მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. ამ მიზნის მისაღწევად გიმნაზია გამოიყენებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი ტიპის შეფასებებს. სსგ-ით განსაზღვრულია მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების ამოცანები, შეფასების რუბრიკები, კლასისა და საფეხურის დაძლევის მინიმალური ბარიერი (5.0 ქულა), საშემოდგომო გამოცდის ჩატარების წესი და სხვა.<br>კლასების მიხედვით, თითოეული საგნისთვის განსაზღვრულია შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო მინიმალური რაოდენობა, შემაჯამებელი დავალების აღდგენის ვადები და ჩატარების წესი. წარმოდგენილია შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები.<br>გიმნაზია მოსწავლეთა შეფასების აღრიცხვისთვის გამოიყენებს ელექტრონულ ჟურნალს. ელექტრონულ ჟურნალში ქულის აღრიცხვის სისწორეზე პასუხისმგებელია საგნის მასწავლებელი.<br>საშუალო საფეხურზე სავალდებულო პროექტებში, სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში და სამოქალაქო განათლებაში, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მოსწავლე ფასდება განმავითარებელი შეფასებით (წერილობითი ფორმით).<br>სემესტრის მანძილზე მოსწავლეები შეფასდებიან სამი კომპონენტის მიხედვით: საშინაო დავალება, საკლასო დავალება, შემაჯამებელი დავალება. სამივე კომპონენტს ერთნაირი წონა აქვს .<br>განსაზღვრულია საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი დავალებაში 10 ქულაზე მეტი შეფასების რუბრიკის გამოყენების შემთხვევაში, მიღებული ქულის 10 ქულიან სისტემაზე გადაყვანის პრინციპი.<br>შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულოა კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში, სასკოლო სასწავლო გეგმაში მოხდა დაკორექტირება რამდენიმე უზუსტობის, კერძოდ, ესგ-ს შესაბამისად, გიმნაზიამ განახორციელა საერთო წლიური ქულის ამოღება სასკოლო სასწავლო გეგმიდან, სპორტის შემაჯამებელი დავალებების რაოდენობის განსაზღვრა. მე-12 კლასში არჩევითი საგნის ესგ-სთან შესაბამისობაში მოყვანა (არჩევითი საგნები არ იყო შეთავაზებული მოსწავლეებისათვიოს მოდულებისა და სემესტრების გათვალისწინებით) |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სასკოლო სასწავლო გეგმა<br>• გიმნაზიის რექტორის ბრძანებები: № 03/2; 19/10/2022 ; № 4/2;24.01.2023; №08/2;31.01.2023 .<br>• პედსაბჭოს სხდომის ოქმი № 1; 24/01/2023<br>• გასაუბრება ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტთან<br>• მე-12 კალსის სასწავლო გეგმა - ხალხური საკრავები და ფოლკლორი |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| 1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | გიმნაზიას შემუშავებული აქვს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მოსწავლის მშობელთან/ კანონიერ წარმომადგენელთან ურთიერთობის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს გიმნაზიის დირექციასთან, მასწავლებლებთან და მშობლებთან ურთიერთთანამშრომლობითი გარემოს ჩამოყალიბებას, ეფექტური კომუნიკაციის დამყარებასა და საერთო კულტურის ჩამოყალიბებას. გიმნაზიის სადამრიგებლო პროგრამით განსაზღვრულია დამრიგებელი მოვალეობები, რომლის თანახმად მშობლებს, შვილის აკადემიური მოსწრების საკითხებს ინდივიდუალური შეხვედრების დროს გააცნობს დამრიგებელი, დაუშვებელია ერთი მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ სხვისი თანდასწრებით საუბარი.<br>გიმნაზიის შინაგანაწესით და დებულებით განსაზღვრულია სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის აქტივობები, კერძოდ, მშობელთა კრებებზე, გიმნაზიის მიერ ორგანიზებული კლასგარეშე ღონისძიებებზე, პრეზენტაციებზე და კონფერენციებზე მშობლების მოწვევა. სკოლაში დაწესებულია მშობლის დღე - პარასკევი.<br>გიმნაზიის მიერ შემუშავებული მშობელთან ურთიერთობის დებულება უზრუნველყოფს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებასა და მშობლის სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • მშობლებთან ურთიერთობის დებულება (ბრ.N 15/2; 21/10/22)<br>• სადამრიგებლო პროგრამა(ბრ. N 03/2 ;18/10/22)<br>• გიმნაზიის შინაგანაწესი<br>• გიმნაზიის დებულება<br>• ინტერვიურება სასკოლო საზოგადებასთან |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | გიმნაზიას შემუშავებული აქვს ,,სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების, განხორციელებისა და გაუმჯობესების მექანიზმები'', რომლის საფუძველზეც მოხდება სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესის შეფასება. აღნიშნულ დოკუმენტში მკაფიოდ არის მოცემული გიმნაზიის შიდა ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებები, მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისა და წახალისების აქტივობები.<br>გიმნაზიაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც იზრუნებს გიმნაზიის პედაგოგთა პროფესიული განვითარებასა და კარიერული წინსვლაზე.<br>გიმნაზიას შემუშავებული აქვს შიდა ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმები, ხარისხის განვითარების ხედვა, მიზნები, ამოცანები და სტრატეგიები, რომელში აღწერილია შიდა სასკოლო მონიტორინგის წესები და პირობები, კათედრების ფუნქციების გაძლიერების ინსტრუმენტები, მოსწავლეთა მიღწევების დინამიკის შესწავლა, შიდა სასკოლო ტრენინგების ორგანიზება, სემესტრული და წლიური ანალიზები, რის საფუძველზეც მოხდება გაანალიზება დაწესებულების ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეებისა. შემუშავებულია კითხვარები, რომლის შესწავლის საფუძველზეც მოხდება სასკოლო სასწავლო გეგმის რევიზია და გადახალისება. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმები;<br>• შიდა სასკოლო მონიტორინგის პრინციპები;<br>• გიმნაზიის განათლების ხარისხის განვითარების ხედვა, მიზნები, ამოცანები და სრატეგია;<br>• პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართული პედაგოგების ხარისხის განვითარებისა |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | და მხარდაჭერის ჯგუფი დებულება |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | |
| რჩევები: | |
| ხარვეზები: | |
| სტანდარტის შეფასება | ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

## 2. მატერიალური რესურსი

| | |
|---|---|
| 2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | |
| ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი: 5933კვ.მ მიწის ფართზე არსებული 1106.022 კვ.მ. შენობა- ნაგებობები | |
| დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით: | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | საპატრიარქოს სადამფუძნებლო შეთანხმების და ა(ა)იპ ,,საქართველოს საპატრიარქოს წმინდა სვიმონ კანანელის სახელობის სასულიერო სწავლებლის ცენტრი“-ს №2 გადაწყვეტილების საფუძველზე დაფუძნდა ა(ა)იპ |

| | |
|---|---|
| | საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია (შემდგომში გიმნაზია, ს/კ 443569005), რაც დასტურდება ამონაწერით სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირების რეესტრიდან.<br>გიმნაზია სასწავლო პროცესის განხორციელებას გეგმავს დაბა ხარაგაულში, რომანოზ დეკანოსიძის ქუჩა N4 განთავსებულ შენობაში, სადაც ამჟამად ფუნქციონირებს შპს ,,საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია (ს/კ 243572834),<br>საქართველოს საპატრიარქოს ავტოკეფალურ ეკლესისა და ა(ა)იპ ,,საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია“-ს შორის გაფორმებული თხოვების წინარე ხელშეკრულებით (21.10.2022,) შპს ,,საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის“ საკუთრებაში არსებული და სრულიად საქართველოს საპატრიარქოს ავტოკეფალურ ეკლესიისთვის უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით გადაცემული უძრავი ქონების (ს/კ 36.01.33.073) განათხოვრება მოხდება ა(ა)იპ ,,საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის ავტორიზაციის მოპოვების შემდეგ. შესაბამისად, გაფორმებული თხოვების ხელშეკრულება დარეგისტრირდება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, უძრავი ქონების მესაკუთრის (საქართველოს საპატრიარქო) თანხმობით.<br>წინარე შეთანხმების საფუძველზე მატერიალური ქონებისა და ინტელექტუალური საკუთრების გადაცემა მოხდება გიმნაზიის ავტორიზაციის მოპოვების შემდეგ 3 სამუშაო დღეში. (საქართველოს საპატრიარქოს ავტოკეფალურ ეკლესისა და ა(ა)იპ ,,საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია“-ს შორის გაფორმებული წინარე შეთანხმება-21/10/2022), |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ნათხოვარი ქონების მახასიათებლებია:<br>საკადასტრო კოდი-36.01.33.073<br>მიწის ნაკვეთის ფართობი: 5933კვ.მ<br>მისამართი: დაბა ხარაგაული, რომანოზ დეკანოსიძის ქუჩა N 4<br>ნათხოვარი ქონება წარმოადგენს ორსართულიან შენობას საერთო ფართით-1106.022კვ.მ |
| *ფაქტობრივი მისამართი* | დაბა ხარაგაული, რომანოზ დეკანოსიძის ქუჩა N4 |
| *მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი* | 36.01.33.073 |
| *კვ.მ.* | 5933კვ.მ მიწის ფართზე არსებული 1106.022 კვ.მ. შენობა-ნაგებობები |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები | • ამონაწერი სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირების რეესტრიდან.<br>• ამონაწერი საჯარო რეესტრიდან: №882021610786; მომზადების თარიღი-31/05/2022<br>• ამონაწერი საჯარო რეესტრიდან: № 882023111406 მომზადების თარიღი-10/02/2023<br>• შენობის აზომვითი ნახაზი<br>• თხოვების წინარე ხელშეკრულება -21/10/2022<br>• მატერიალური ქონებისა და ინტელექტუალური საკუთრების გადაცემის წინარე შეთანხმება-21/10/2022<br>• წესდება<br>• საქართველოს საპატრიარქოს წმინდა სვიმონ კანანელის სახელობის სასულიერო სასწავლებლის ცენტრი“-ს №2 გადაწყვეტილება<br>• სადამფუძნებლო შეთანხმება<br>• საქართველოს საპატრიარქოს მინდობილობა № 815; 27/10/2022<br>• ვიზუალური დათვალიერების შედეგები |
| შეფასება | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | გიმნაზიის შენობაში 12 საკლასო ოთახია. აქედან მე-7 კლასის საკლასო ოთახში განთავსებულია ქიმისს ლაბორატორია, მე-8კლასის საკლასო ოთახში-ბიოლოგიის ლაბორატორია, ხოლო მე-9 კლასის საკლასო ოთახში-ფიზიკის ლაბორატორია.<br>საკლასო ოთახები აღჭურვილი იყო 204 მერხით და შესაბამისი რაოდენობის სკამით, მასწავლებლის მაგიდებით და სასკოლო დაფებით. 6 საკლასო ოთახში განთავსებული იყო მოძრავი ჭკვიანი დაფები. გარდა აღნიშნული ინვენტარისა საკლასო ოთახებში არის სხვადასხვა სახის სასწავლო რესურსი: თვალსაჩინოებები, რუკები, გლობუსი, მოსწავლთა ნამუშევრები და პრეზენტაციები.<br>სასწავლო მიზნების განხორციელებისთვის შენობაში ასევე არის ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასი, სამასწავლებლო, ექიმის კაბინეტი, რესურსოთახი, დირექტორის კაბინეტი და სპორტული დარბაზი. გიმნაზიის ეზოში მოწყობილია ამფითეატრი და ხელოვნურსაფარიანი დიდი სპორტული მოედანი.<br>ვიზუალური დათვალიერებით და გიმნაზიის მიერ წარმოდგენილი ,,მატერიალური ქონებისა და ინტელექტუალური საკუთრების გადაცემის წინარე შეთანხმების“ დოკუმენტით განსაზღვრული ,,მატერიალური ქონების“ შესწავლის თანახმად, გიმნაზია მფლობელობაში გადაეცემა: 265 მერხი და სკამი, 26 კომპიუტერი, 7 ჭკვიანი დაფა, 13 სასკოლო დაფა, 3 პროექტორი და 3 მაგნიტური დაფა.<br>დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საკლასო ოთახების რაოდენობა და მათში განთავსებული/დასაწყობებული მერხები და სკამები სრულად უზრუნველყოფს მოსწავლეთა მოთხოვნილი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | რაოდენობის საჭიროებების დაკმაყოფილებას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით<br>• შენობის შიდა აზომვითი ნახაზით<br>• მატერიალური ქონებისა და ინტელექტუალური საკუთრების გადაცემის წინარე შეთანხმებით განსაზღვრული ,,მატერიალური ქონება“ (21/10/2022) |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | გიმნაზიის ეზოში არის ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედანი, ღამის განათებით და ტრიბუნებით.<br>გიმნაზიას ასევე აქვს სპორტული ინვენტარით აღჭურვილი დახურული სპორტული დარბაზი, რომელიც განთავსებულია შენობის პირველ სართულზე. სპორტულ დარბაზში განთავსებულია შემდეგი სპორტული ინვენტარი:სარბენი ბილიკი, ტენისის მაგიდა, შვედური კედელი, ტრენაჟორი, ჰანტელები, სპორტული სკამი და სხვადასხვა ზომის ბურთები. |
